ფილოსოფია

კულტურის თანამედროვე ტრანსფორმაციები/ContenporaryTransformation of Culture

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან კულტურის რთული და მრავალმხრივი ბუნების თეორიას. გარდა ამისა, მისცემს ცოდნას კულტურის არსის, კულტურის სტრუქტურის, მისი ონტოლოგიური სტატუსის, მისი შემეცნების გზებისა და მეთოდების, ფუნქციების, ძირითქდი ცნებებისქ დქ კქტეგორიების და სხვ შესხებ.
მთელ მსოფლიოში კულტურის კვლევამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. მიიჩნევენ, რომ ბიპოლარული სამყაროს რღვევის შემდეგ, მსოფლიო თანდათანობით პოლიტიკურად ჰომოგენური ხდება, ხოლო კულტურათა შორის განსხვავებას განიხილავენ პოსტინდუსტრიული საზოგადოების მთავარ წინააღმდეგობად, ამიტომ კულტურის ფილოსოფია, როგორც დისციპლინა, დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

პოლიტიკური ფილოსოფია Political philosophy

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან პოლიტიკური ანალიზის მეთოდურ წანამძღვრებს, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ კრიტერიუმებსა და ღირებულებებს, ფილოსოფიური ტექსტების პოლიტიზების საზღვრებს, პოლიტიკის სამყაროს, როგორც პოლიტიკურ-ფილოსოფიური რეფლექსიის ობიექტს, პოლიტიკური ფილოსოფიის არსობრივ ხასიათს. გაანალიზებული იქნება კლასიკური პოლიტიკური თეორიები, სახელმწიფო და ბუნებრივი მდგომარეობა, პოზიტიური და ნეგატიური თავისუფლება, თავისუფლებისა და საკუთრების წინააღმდეგ ნოზაიკის შეხედულებები. სამართლიანი სახელმწიფოს პრობლემების ანალიზი და პოლიტიკური ფილოსოფიის დღევანდელი მდგომარეობა (შტრაუსი) კურსის მიზანია სტუდენტები გაეცნონ ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს, რაც ხელს შეუწყობს ანტიკური დროიდან თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლების ნააზრევის შესწავლას. კურსის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშავდეს პოლიტიკური ტექსტებისა და პროცესების კრიტიკული ანალიზის უნარი და მათ შეძლონ არგუმენტირებულად ჩამოაყალიბონ როგორც წერითი, ისე ზეპირი ფორმით დაგროვილი ცოდნის გადმოცემა. საჯაროდ გამოსვლა პოლიტიკური ფილოსოფიის საკითხზე და როგორც ექსპერტებს მოვლენის სიღრმისეული ანალიზი.

მორალის ფილოსოფია/Moral Philosophy

კურსი წარმოადგენს მორალის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის პრინციპული საკითხების პრეზენტაციას. კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა ზნეობრივი ღირებულებების სპეციფიკას, ზნეობრივი ფენომენის სტრუქტურას, ზნეობრივი პროცესის

კანონზომიერებებს, სულიერი ღირებულებებისა და კეთილდღეობის არსს, ეთიკური ცნებებისა და კატეგორიების კლასიფიკაციას და სხვა საკითხებს. თანამედროვე ეთიკური თეორიების შუქზე გაანალიზდება იმ პრინციპებისა და ნორმების შინაარსი, რომლებითაც ხასიათდება პოსტინდუსტრიული საზოგადოება. ძირითადი ეთიკური პოზიციებისა და ეთიკური საკითხების გაშლის გზით სტუდენტს საშუალება მიეცემა, გაერკვეს თანამედროვე გამოყენებითი ეთიკის დილემებსა და კოლიზიებში, იგი შეიძენს მათი გააზრებისათვის აუცილებელ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ყოველი თემის თეორიულ განხილვას მოყვება დისკუსია და ანალიზი.

I მოდული-კულტურის ფილოსოფია სავალდებულო საგნები

კულტურის ფენომენოლოგი/Phenomenogy of Culture

კურსი სტუდენტებს გააცნობს კულტურის ფენომენოლოგიური კვლევის არსსა და მისი განვითარების ძირითად ისტორიულ ეტაპებს; გამოუმუშავებს მათ პრობლემათა დამოუკიდებელი გააზრებისა და სპეციალურ ლიტერატურაზე მუშაობის უნარ-ჩვევებს.

რომანტიზმის ესთეტიკა/Aesthetics of Romantics

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან რომანტიზმს, კერძოდ კი, გერმანულ რომანტიზმს, რაც საშუალებას მისცემს მათ, ღრმად გაიაზროს ესთეტიკის განვითარების საფეხურები. რომანტიკოსების მიერ დასმული საკითხები დღესაც აქტუალურია. საჭიროა მათი ნაწარმოებებისა და შეხედულებების ფუნდამენტური შესწავლა, რაც სტუდენტს დაეხმარება და ხელს შეუწყობს ესთეტიკურ-ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბებასა და გაღრმავებაში.

თანამედროვე ესთეტიკის აქტუალური პრობლემები/Actual problems of Contenporary Aesthetics

კურსის მაგისტრატებს აცნობს თანამედროვე სამყაროსათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშნის - საყოველთაო ესთეტიზაციის - ძირითად თავისებურებებს. კურსის ფარგლებში სტუდენტები თანამედროვე ეპოქის ყველა ძირითად მახასიათებელს გაეცნობიან და შეისწავლიან.

კულტურის ინდუსტრია/Cultural Industry

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან კულტურის ჰერმენევტიკულ პრობლემატიკას; სალექციო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები გამოიმუშავებენ კულტურის "ტექსტთა" ჰერმენევტიკული "წაკითხვის" უნარ-ჩვევებს.

კულტურის ჰერმენევტიკა/Hermeneutics of Culture

კურსი მიზნად ისახავს, რომ მაგისტრანტები ღრმად ჩაახედოს კულტურისა და მისი ჰერმენევტიკული წაკითხვასთან დაკავშირებულ პრობლემატიკაში; ხელი შეუწყოს მათ იმ უნარჩვევების გამომუშავებაში, რაც ამგვარი საკითხების დამოუკიდებლად გააზრებაში დაეხმარებათ.

II მოდული-პოლიტიკური ფილოსოფია, სავალდებულო საგნები

ძალაუფლების ფილოსოფიური თეორიები /Philosophical Theories of Power

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ძალაუფლების ფილოსოფიური თეორიების პრინციპებსა და ძირითად მიმართულებებს, ძალაუფლების არსის ფილოსოფიურ არტიკულაციას ძალაუფლების ფენომენის ტრანსფორმაციებს ისტორიული ეპოქების მიხედვით. ძირითადი აქცენტი კეთდება ძალაუფლების ფენომენის თანამედროვე კონფიგურაციების შესწავლაზე. სტუდენტი შეიძენს ძალაუფლებისა და ხელისუფლების სპეციფიკური სისტემების ანალიზისათვის აუცილებელ ცოდნას და შესაბამის უნარ–ჩვევებს.

პოლიტიკური იდეოლოგიების ფილოსოფიური საფუძვლები /Philosophical Basics of

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან იდეოლოგიის „უცნაურ“ ისტორიას. შეისწავლიან განმანათლებლობის დროიდან დღემდე პოლიტიკური იდეოლოგიის მკვლევართა ნააზრევს. იდეოლოგიის ზოგად პრინციპებს. ნაჩვენები იქნება, რომ იდეოლოგიები უზარმაზარ რესურსს შეადგენს პოლიტიკური რეალობის შექმნის, განსაზღვრისა და შეფასების, პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბებისათვის. გაანალიზებული იქნება როგორც კლასიკური დასავლური იდეოლოგიების ფილოსოფიური საფუძვლები, ისე უახლოესი იდეოლოგიური აზრის თემატიკა და მიმართულებები, რომლის გარეშეც პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემატიკას ვერ გავიაზრებთ.
სტუდენტებს გამოუმუშავებს ისეთ საკითხებს ცვალებად მსოფლიოში, მსოფლიო წესრიგის, გლობალიზაციის, პოსტმოდერნიზმის, ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკული ანალიზის უნარს, და მათ შეუძლიათ ღრმად გაიაზრონ იდეოლოგიური და დეიდეოლოგიზებული პოლიტიკის შესახებ დაგროვილი ცოდნა.

ახალი დროის პოლიტიკური ფილოსოფია /Political Philosophy of New Time

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ახალი დროის პოლიტიკური ფილოსოფიური თეორიების ძირითად მიმართულებებსა და პრობლემებს. კურსის მაკონსტრუირებელ ძირითად პრინციპად შერჩეულია როგორც პერსონიფიცირებული მიდგომა, ისე სკოლური პრინციპი. გარდა ამისა, სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია პოზიტიური, საკუთრივ პოლიტიკური პრობლემების ანალიზი, რაც

აგებს სოციალური ცხოვრების პოლიტიკური განზომილების სურათს მის სტრუქტურულ და ფუნქციონალურ განზომილებებში.

კომუნიკაციების თანამედროვე თეორიები /Modern Theories of Communication

მაგისტრანტები კურსის ფარგლებში გაეცნობიან: I.კომუნიკაციის თეორიას, როგორც თანამედროვე საზოგადოების, კულტურის, პოლიტიკის ახსნის თანამედროვე თეორიულ მიდგომას. 2. კომუნიკაციის თანამედროვე ფორმებს. 3. კომუნიკაციას, როგორც ინფორმაციული ეპოქის განვითარების ძირითად ნიშნებისა და ინდიკატორების განმსაზღვრელს. 4. კომუნიკაცია განსაზღვრავს სახელმწიფოსა და ძალაუფლების ახალ პარადიგმას, ინფორმაციული საზოგადოების, კულტურის, ადამიანის ყოფიერების თავისებურებას. 5.რეალობის ახსნის კომუნიკაციური მოდელის ფილოსოფიურ–სოციოლოგიური პრობლემატიკისა და ძირითადი ცნებების კრიტიკულ ანალიზს.

პოლიტიკური მორალის ფილოსოფია/Moral Philosophy of Politics

კურსის აცნობს სტუდენტს მორალის ფილოსოფიის არსობრივ და ძირეულ პარამეტრებს. განხილვის საგანი იქნება დემოკრატული სამოქალაქო საზოგადოების მორალური ბაზისი, როგორც ზნეობრივი დისკურსის პრინციპულად განსხვავებული ტიპი. ამ მიზნით გაანალიზდება თანამედროვე მორალის ფილოსოფიაში დომინანტური სისტემური თეორია იუმის, ბენტამის, მილის უტილიტარისტულ-მორალური პარადიგმის სახით და საზოგადოებრივი თანხმობის ტრადიციული თეორიის ლოკის, რუსოსა და კანტიანური ვარიანტები. კურსის ფარგლებში მოხდება ყველა ეს იდეა განზოგადდება. ყურადღება გამახვილებული იქნება ალტერნატულ კონცეფციათა ძირითად სტრუქტურულ თავისებურებებზე: ჯონ როლზის, იენ შაპიროს, რობერტ დალის, პოლ რიკერის, ჯოზეფ რაცის თეორიების ანალიზის შუქზე.

განმანათლებლობის დიალექტიკა/ Dialectic of Enlightenment

სალექციო კურსი მაგისტრანტებს მყარ საფუძველს შეუქმნის თანამედროვეობის ისეთი პოლიტიკურ–ფილოსოფიური ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის, როგორიც არის ჰორკჰაიმერისა და ადორნოს "განმანათლებლობის დიალექტიკა." კურსი ხელს შეუწყობს საამისოდ აუცილებელი ტექნიკის (სათანადო წესებისა და მეთოდების) დაუფლებას, რათა მათ ანალოგიურ ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები გამოიმუშავონ.

III მოდული სავალდებულო საგნები

არისტოტელეს "ნიკომაქეს ეთიკა"(სპეც. სემინარი)/Nicomachean Ethics by Aristotle

სპეც. სემინარი მიზანად ისახავს გააცნოს მაგისტრს არისტოტელეს ეთიკური თეორიის არსი, მისი ნაშრომის, „ნიკომაქეს ეთიკა," ანალიზის შუქზე გაიხსნება ანტიკური პერიოდის ზნეობრივ კონცეპტთა ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია.

ტექსტოლოგიური ანალიზის მეთოდი საშუალებას მოგვცემს, გავხსნათ ის ონტოლოგიური და ჰერმენევტიკული შრეები, რომლებიც ამ პერიოდის ზნეობრივი აზროვნების პროცესის შინაგან ლოგიკას აგებენ.

თითოეული თემის თეორიულ განხილვას მოჰყვება შესაბამისი ტექსტის გაცნობა, მათი ანალიზი, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი. ყოველ კვირას ლექციას მოჰყვება სასემინარო მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს ლექციაზე განხილული თეორიული მასალის პრაქტიკულ დამუშავებას.

ბიოეთიკა/ Bioethics

კურსის ფარგლებში განიხილება ბიოეთიკური პრობლემების დილემური, დისკუსიური ხასიათი; თანამედროვე კულტურა გააანალიზდება ბიოეთიკური კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში. ნაჩვენები იქნება, თუ როგორ იქცევა ბიოეთიკური კრიტერიუმები ზნეობრივი ცნობიერების ამა თუ იმ ნაირსახეობის, მრწამსისა და პრაქტიკის განმსაზღვრელ ფაქტორებად. კურსი სტუდენტს საშუალებას მისცემს, გაერკვეს თანამედროვე პროცესებისა და კულტურის არსებით ტენდენციებში, შეიძინოს მისი გააზრებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები. იგი აითვისებს იმ ხერხებს, რომლებიც შემდგომში მას დაეხმარება დამოუკიდებლად იკვლიოს მისთვის საინტერესო პრობლემა.

კანტის მოვალეობის ეთიკა/ Ethics of Duty by Kant

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები აანალიზებენ გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებლის, იმანუილ კანტის, ეთიკურ მოძღვრებას. სტუდენტები შეისწავლიან მოვალეობის ეთიკის პარადიგმას, გაერკვევიან ზნეობის მეტაფიზიკის აგების კანტიანურ ცდაში.

სამართლიანობისა და თანასწორობის თეორიები / Theories of Justice and Equalty

> კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტებს პოზიცია ჩამოუყალიბდებათ პოლიტიკური ფილოსოფიის თაობაზე მისი ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლების შეხედულებათა გადმოცემის საფუძველზე, როგორებიც არიან როულზი, რაცი და უოლცერი. ამასთან, კურსი ითვალისწინებს ამ ავტორების თვალსაზრისების არა ზოგად გადმოცემას, არამედ მათი შეხედულებების ექსპლიკაციას სავსებით კონკრეტული, სამართლიანობისა და თანასწორობის პრობლემების ირგვლივ.

ბიზნესის ეთიკა/Buissness Ethics

სამაგისტრო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ბიზნესსაქმინობის ეთიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს. განხილულია ბიზნესკულტურის, ბიზნესეთიკისა და პოლიტიკურის მიმართების თეორიები, დამსაქმებელსა და დასაქმებულის მიმართების ეთიკური ასპექტები. სამართლიან საზოგადოებაში რა როლს უნდა თამაშობდეს ბიზნესი და პოლიტიკა. მსოფლიო კორპორაციების მაგალითების მოხმობით გაიმართება დისკუსიები ბიზნესეთიკის ძირითადი პრობლემების შესახებ. რამდენად მართლზომიერია არსებობდეს ამგვარი დასმა საკითხისა, რას უნდა ველოდოთ ბიზნესისაგან, თუკი იგი გარემოსდაცვითი პრობლემებით და ჰუმანური ღირებულებებით დაინტერესდება.კურსი საშუალებას მისცემს მაგისტრანტს, გაერკვეს თანამედროვე ეთიკის დილემებსა და კოლიზიებში, შეიძინოს მისი გააზრებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

თანამედროვე ეთიკური თეორიები/ Contemporary Ethical Theories

კურსის ფარგლებში თანამედროვე კონტინენტური და ამერიკული ეთიკური აზრის, როგორც დასაბუთებული ფილოსოფიური დისკურსის, ძიების დინამიკა, მისი ძირითადი მიმართულებები და მათი საერთო მახასიათებლები სამომავლო პერსპექტივის ჭრილშია განხილული. კურსი გაიშლება „ანტინორმატული გადატრიალების“ ანალიზის ფონზე. კურსის ფარგლებში გამართული დისკუსიები მაგისტრს მისცემს დასაბუთებულ ცოდნას, რომ თანამედროვე საკაცობრიო კულტურა წარმოუდგენელია ნიცშეს, პირსის, ფროიდის, კამიუს, სენტ ეკზიუპერის, უმბერტო ეკოს, ჯემსის, დიუის, რორტის, ჰაიდეგერის, ფრომის, შელერის, სარტრის, ფუკოს, დერიდას გარეშე. მაგისტრანტი გაერკვევა თანამედროვე კულტურის პროცესების არსებით ტენდენციებში, შეიძინოს მისი გააზრებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები. სტუდენტი აითვისებს იმ ხერხებს, რომლებიც შემდგომში მას დაეხმარება დამოუკიდებელი კვლევის წარმართვაში.

გერმანული კლასიკური ესთეტიკა / Clasical German Aesthetics

გერმანული კლასიკური ესთეტიკა XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისის ევროპული აზროვნების უდიდესი მონაპოვარია. მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა (კანტი, შელინგი, ჰეგელი) მთელი ეპოქა შექმნეს ევროპული (და არა მარტო ევროპული) ფილოსოფიური და

ესთეტიკური აზრის ისტორიაში. შექმნეს მოძღვრება დიალექტიკური განვითარების შესახებ, დანერგეს კვლევის ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რამაც შესაძლებელი გახადა XIX საუკუნეში შექმნილიყო ისტორია, როგორც მეცნიერება საზოგადოებრივ და ცნობიერისეულ მოვლენათა ისტორიული განვითარების შესახებ: ფილოსოფიის ისტორია, ხელოვნების ისტორია, საზოგადოების ისტორია, მედიცინის ისტორია და ა.შ. განვითარებაში მემკვიდრეობითი პრინციპის აღიარებამ (რაც ჰეგელის დიალექტიკის დამსახურებაა), ერთ მთლიან ისტორიულ გზად მოაზრების საშუალება მისცა მეცნიერებას საგანთა და მოვლენათა შესწავლის პროცესში. კურსის მიზანია გერმანული კლასიკური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლების ესთეტიკური ნააზრევის შესწავლა.

ანტიკური ესთეტიკა/ Aesthetics of Antiqiuty

კურსი სტუდენტს მისცემს ცოდნას ანტიკური მოაზროვნეების ესთეტიკური კონცეფციების შესახებ. ანტიკური ესთეტიკა განიხილება, როგორც ევროპული ესთეტიკური აზროვნების საფუძველი, მხატვრულ პრაქტიკასთან ესთეტიკური თეორიის თავსებადობა-არათავსებადობის საკითხი. მონიშნული იქნება ის შეხედულებები, რომელიც საფუძვლად ედება რენენსანსისა და ახალი დროის ესთეტიკას.

ა ქ ს ი ო ლ ო გ ი ა / O x s i o l o g y

კურსის სტუდენტს აძლევს აქსიოლოგიური განათლებას, რაც გულისხმობს დაბალ და მაღალ ღირებულებათა გარჩევას, ღირებულებათა სიმაღლის კრიტერიუმის (კრიტერიუმების) ცოდნას, ღირებულებათა საკუთარი სამყაროს ჩამოყალიბებებას, სხვისი ღირებულებათა სამყაროს პატივისცემას.

გლობალიზაციის პროცესი და ნაციონალური იდენტობა/Globalizacion and National

კურსი სტუდენტს აძლევს ცოდნას გლობალიზაციის ძირითადი მახასიათებლების, გლობალიზაციის პროცესის თანმდევი მოვლენების, ღირებულებათა შფოთის, მულტიკულტურული სამყაროს ფორმირებისა და ღირებულებათა კონფლიქტების საფუძვლების შესახებ. თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ტრანსფორმაციების შესახებ და მათ გავლენებზე ეთნიკურ და ეროვნულ მენტალობასა და კულტურებზე. ასევე, საზოგადოების ცხოვრების აგრარულ, ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ, ანუ ინფორმაციული საზოგადოების თავისებურებებზე.

კულტურა და ზნეობა/Culture and Morality

კურსი სტუდენტს მისცემს ცოდნას კულტურის ფილოსოფიისა და ფილოსოფიური ეთიკის ძირითადი პრობლემების შესახებ; კულტურის კრიზისის, ეთიკის საყოველთაოდ ცნობილი პრინციპების (ბედნიერება, მოვალეობა, ღირებულება და სხვა) როლის შესახებ კულტურის განვითარებაში.

კულტურის სემიოტიკა/Semiotics of Culture

კურსი მაგისტრანტებს გააცნობს კულტურის სემიოტიკის წანამძღვრებს, კულტურაში ნიშანთა როლისა და ადგილის განსხვავებულ შეფასებებს სემიოტიკური კონცეპტების, როგორც კულტურის ფენომენების განზომილებებს.

სემიოტიკური კონცეპტები მითოსური ცნობიერების ადამიანისთვის სამყაროს შემეცნების ერთადერთ ინსტრუმენტს წარმოადგენდა, თუმცა მასზე ფილოსოფიური რეფლექსია მხოლოდ ახალი დროის აზროვნებაში თემატიზირდება. მათი კვლევის აუცილებლობა განსაკუთრებით გაძლიერდა xx საუკუნეში, რაც ეპოქის ძირითად თავისებურებათა ტრანსფორმაციამ გამოიწვია. ჩვენი დროის კულტურულ ცნობიერებაში მხატვრული იდეების მრავალფეროვნება განსხვავებული სტილი და ფორმა, ინტერნეტული ვირტუალური ჰიპერ–რეალობა ,,აღიწერება" განსხვავებულ ნიშანთა სისტემებით. ამ ნიშანთა სისტემებში გარკვევა წარმოადგენს კურსის მიზანს.

ქართული ესთეტიკური აზრის ისტორია/History of Georgian Aesthetic thought

ერის სულიერი და მატერიალური კულტურული მონაპოვრის შესწავლა, დაფიქსირება და მისი ჩართვა სათანადო ადგილის მინიშნებით მსოფლიო კულტურის საგანძურში შეუძლებელია, თუ არ იქნა შესწავლილი როგორც ფილოსოფიური, ისე ესთეტიკური აზრის ისტორია _ ერის შემოქმედებითი პოტენციალის თეორიული განააზრი.

ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიის შესწავლა სტუდენტებს აძლევს იმ მყარ თეორიულ საფუძველს, რომელიც გამოადგებათ თანამედროვე მხატვრულ-კულტურულ ღირებულებათა სამყაროში სწორი ორიენტაციისათვის, გლობალიზაციის პირობებში "კულტურათა დიალოგის" ინტენსიურ პროცესებში ქართული კულტურის ინტეგრირებისას სწორი პოლიტიკის წარმართვისათვის.

წარმოსახვა და ხელოვნება/Phantasy and Art

კურსის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, რომ ღრმად გაიაზრონ წარმოსხვასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემები; კურსი ხელი უწყობს მათ ფანტაზიაზე ორიენტირებულ ფილოსოფიურ თუ ლიტერატურულ ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ–ჩვევეის გამომუშავებაში.

ძალაუფლების თანამედროვე თეორიები და მეტამორფოზები კულტურაში/Contentporaru Theories of Pover and Metamorphosis jn Culture

კურსი ამზადებს სტუდენტს კულტურის რთული და მრავალმხრივი ბუნების თეორიული შესწავლისათვის. გარდა ამისა, სტუდენტს აძლევს ცოდნას კულტურის არსის, კულტურის სტრუქტურის, მისი ონტოლოგიური სტატუსის, მისი შემეცნების გზებისა და მეთოდების, ფუნქციების, ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების და სხვ. შესახებ.

ალექსის დე ტოკვილი „დემოკრატია ამერიკაში“/ A. de Tocqueville ”Democracy in America

სამაგისტრო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელის, ალექსის დე ტოკვილის, ცნობილ თხზულებას „დემოკრატია ამერიკაში.“ სტუდენტები გაეცნობიან იმ უმნიშვნელოვანეს მომენტებს, რომელთაც განაპირობეს ამერიკელთა პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება. კურსი საშუალებას მისცემს სტუდენტს, გაერკვეს თანამედროვე ამერიკული სამოქალაქო და პოლიტიკური კულტურის თავისებურებებში. იგი აითვისებს ტოკვილის პოლიტიკური ფილოსოფიის არსობრივ ნიშნებს, ინდიკატორებს, ცნებებსა და კვლევის მეთოდებს. დემოკრატული საზოგადოების მოდელებს, სახელმწიფოსა და ძალაუფლების ახალ პარადიგმას. სტუდენტი აითვისებს იმ ხერხებს, რომლებიც შემდგომში მას დაეხმარება დამოუკიდებლად იკვლიოს მისთვის საინტერესო საკითხი.

ანტიკური პოლიტიკური ფილოსოფია/Antique political philopsophy

კურსი მაგისტრანტებს მყარ საფუძველს შეუქმნის კლასიკური პოლიტიკური ტექსტების ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის, საამისოდ აუცილებელი ტექნიკის (სათანადო წესებისა და მეთოდების) დაუფლებისთვის; ისინი ანალოგიურ ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებენ.

პლატონი და არისტოტელე: მათი ფილოსოფიების ონტოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები/Plato and Aristotle: Ontological and Psychological Aspects of their Philosophies

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია მაგისტრანტებისათვის ანტიკური ფილოსოფიის “ცენტრის” – პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიების ონტოლოგიური (მეტაფიზიკური) და ფსიქოლოგიური (მათ შორის განსაკუთრებით ეპისტემოლოგიური) ასპექტების გაცნობა, როგორც თავისთავად, ასევე ურთიერთმიმართებაში და ნეოპლატონური ფილოსოფიის პერსპექტივაში.

სამართლიანობისა და თანასწორობის თეორიები/Theories of Justice and Equality

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან პოლიტიკური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლების შეხედულებებს (როულზი, რაცი და უოლცერი). ამასთან, კურსი ითვალისწინებს ამ ავტორების თვალსაზრისების არა ზოგად გადმოცემას, არამედ მათი შეხედულებების ექსპლიკაციას სავსებით კონკრეტული, სამართლიანობისა და თანასწორობის პრობლემების ირგვლივ. ლექციების მსვლელობისას ორიენტირებულები ვიქნებით არა ავტორებზე, არამედ პრობლემატიკაზე.

ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფია/American Political Philosophy

კურსის სტუდენტს გააცნობს ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფიის ამოსავალ პოსტულატებს, მათი ფორმირების ძირითად ეტაპებს, ყველაზე მნიშვნელოვან კონცეპტებსა და პოლიტიკური ღირებულებების სპეციფიკას. კურსის მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფიის პრობლემებში გარკვევისა და შესაბამისი ტექსტებისა და ფასეულობების გაგების, განმარტებისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები.

სახელმწიფოს კონტრაქტული თეორიები/Social Contract theory

კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა : 1. სოციალური კონტრაქტის დამფუძნებლების თეორიას (ჰობსი,ლოკი,რუსო); 2.თანამედროვე სოციალური კონტრაქტის თეორიას (როლსი); 3. სოციალური კონტრაქტის თეორიის შესახებ ხელშეკრულების თეორიის კრიტიკული გააზრების ცდებს თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიაში. გაეცნობა საკითხისადმი ყველაზე თანამედროვე მიდგომებს (ფემინისტური არგუმენტი, სექსუალური კონტრაქტი, ლიბერალური ინდივიდუალიზმი, რასობრივი კონსესუსის არგუმენტი); 4.სახელმწიფოსა და საზოგადოების, სამოქალაქო საზოგადოების მიმართების ისტორიული ანალიზი; 5. თანამედროვეობის მიერ ხელშეკრულების თეორიების განვითარების ტენდენციებს. გაეცნობა პოლიტიკური ფილოსოფიის ერთერთ მიმართულებას.

ომის ფილოსოფია/Philosophy of War

სალექციო კურსი მოიცავს ომის ფილოსოფიის ძირითად თემებსა და საკითხებს. ამ ტიპის ინტერდისციპლინარული კურსი მხოლოდ ახლა შედის დასავლეთის უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში. მასალების შერჩევისას და დალაგებისას ამოსავალი იქნება კონცეპტუალური მიდგომა. სალექციო კურსის მიზანია შესაძლებლობა მისცეს სტუდენტებს, საფუძვლიანად გაეცნონ ომის ფილოსოფიის გააზრებისათვის აქტუალურ პრობლემატიკას, მისდამი მიდგომების სპეციფიკას, ომის ფილოსოფიის მიმართებას პოლიტიკური ფილოსოფიასთან და საერთოდ ზოგადფილოსოფიურ თვალაზრისებთან. კურსი ისეა დალაგებული, რომ სტუდენტებს გაუადვილდეს ომის ფილოსოფიის კურსის მთლიანობაში აღქმა, აგრეთვე, საშუალება მისცეს მათ, გაითავისონ სხვადასხვა მიდგომასა და პოზიციას შორის განსხვავება და ამ განსხვავების არსებითი ასპექტები. ეს დაეხმარება სტუდენტებს სალექციო მასალებისადმი კრიტიკული მიდგომის ჩამოყალიბებასა და ომის არსის შესახებ სისტემური თვალსაზრისის გამომუშავებაში.

გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში/ Geopolitical and Geostrategical Transformation

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები მიიღებენ ცოდნას იმ პროცესების შესახებ, რომლებმაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში განაპირობებს გეოსტრატეგიული ვითარების შეცვლა ევროპაში, ამერიკის როლი ამ პროცესებში და საქართველოს ადგილი თანამედროვე რეალიაში.

ბიოეთიკა და პოლიტიკური კულტურა/ Bioethics and Political Culture

კურსის ფარგლებში შეისწავლება ბიოეთიკური პრობლემების პოლიტიკური რეგლამენტირების დილემური, დისკუსიური ხასიათი; თანამედროვე პოლიტიკური კულტურა გააანალიზდება ბიოეთიკური კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში. ნაჩვენები იქნება, თუ როგორ იქცევა ბიოეთიკური კრიტერიუმები პოლიტიკური ცნობიერების ამა თუ იმ ნაირსახეობის, მრწამსისა და პრაქტიკის განმსაზღვრელ ფაქტორებად. კურსი მაგისტრანტს საშუალებას მისცემს, გაერკვეს თანამედროვე პოლიტიკური პროცესებისა და კულტურის არსებით ტენდენციებში, შეიძინოს მისი გააზრებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები. იგი აითვისებს იმ ხერხებს, რომლებიც შემდგომში მას დაეხმარება დამოუკიდებლად იკვლიოს მისთვის საინტერესო საკითხი.

გვიან ანტიკური და ადრე ქრისტიანული ეთიკური თეორიები/Late Antique and Early Christian Ethical Theories

კურსის აცნობს მაგისტრს გვიან ანტიკური და ადრე ქრისტიანული ეთიკის ძირითად კონცეპტთა ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას. აქცენტი კეთდება ანტიკური ფილოსოფიიდან ადრე ქრისტიანულ თეოლოგიაში გადასვლის გზებზე. კურსის ფარგლებში გაიხსნება ის წინაპირობები, რომელნიც ამზადებდნენ ქრისტიანული მორალის ბაზისურ საყრდენებს. კერძოდ, გაანალიზდება გვიანი სტოიციზმის, ეპიკურეიზმისა და ნეოპლატონიზმის ეთიკური პლატფორმები. ამავდროულად, გაანალიზდება, თუ როგორ განხორციელდა აბსოლუტური ეთიკური დუალიზმის (გნოსტიციზმი) დაძლევა და ეთიკური მონიზმის დაფუძნება (აპოლოგეტიკა, ავგუსტინე, ბოეთიუსი). კურსის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ეთიკური პრობლემატიკის კვლევას კაპადოკიელებთან. ტექსტოლოგიური ანალიზის მეთოდი საშუალებას მოგვცემს გავხსნათ ის ონტოლოგიური და ჰერმენევტიკული შრეები, რომლებიც ამ პერიოდის ზნეობრივი აზროვნების პროცესის შინაგან ლოგიკას აგებენ. თითოეული თემის თეორიულ განხილვას აუცილებლობით მოჰყვება შესაბამისი ტექსტების /წყაროების/ გაცნობა დედანში, მათი ანალიზი, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი. ყოველ კვირას ლექციას მოჰყვება სასემინარო მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს ლექციაზე განხილული თეორიული მასალის პრაქტიკულ დამუშავებას. სასემინარო მუშაობა დაეხმარება მაგისტრანტს, საკითხის სწორად დასმისა და მისი გადაჭრის ადეკვატური გზების მოძიების უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, ხოლო რეფერატზე მუშაობა წარმოაჩენს, თუ როგორ შეძლო მაგისტრანტმა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის გამოცდილების ათვისება. ამგვარად, წინამდებარე კურსი მიზნად ისახავს კრიტიკული აზროვნების, ანალიზისა და საკუთარი არგუმენტაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, აგრეთვე წერის კულტურის

განვითარებას, წყაროებოს ორიგინალსა თუ თარგმანში გაცნობის მეშვეობით ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისთვის ხელშეწყობას.

თანამედროვე გამოწვევები და ქრისტიანული ეთიკა/Chellenges of Contemporarity and Cristian Ethics

სამაგისტრო კურსი მიზნად ისახავს, გაანალიზოს თანამედროვე გამოწვევებს პირისპირ მდგარი საზოგადოების ზნეობრივი მდგომარეობა. კურსის ფარგლებში ახსნილია ეთიკის ქრისტიანული ხედვის არსი, ეთიკის სხვადასხვა ხედვისა და ქრისტიანული ეთიკის განმსაზღვრელ თვალსაზრისთა ანალიზი. ახსნილია ქრისტიანული ეთიკის შინაგანი ბუნება, დადგინდება ეთიკურ მოვალეობათა პარადიგმა, მისი ტრადიციული მოდელი და მისი მიმართება თანამედროვე ეთიკურ დისკურსთან. ძირითადი ეთიკური პოზიციებისა და ეთიკური საკითხების გაშლის გზით დადგინდება ქრისტიანული ეთიკის ადგილი და მნიშვნელობა იმ რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე რეალიაში, რომელშიც დღეს იმყოფება ჩვენი საზოგადოება. კურსი საშუალებას მისცემს მაგისტრანტს, გაერკვეს თანამედროვე ეთიკის დილემებსა და კოლიზიებში, შეიძინოს მისი გააზრებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

ეკოლოგიური ეთიკა/Ecological Ethics

სამაგისტრო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია ეკოეთიკის პრობლემატიკის შესწავლა; კრიტიკულადაა განხილული თანამედროვე დისკუსიები, რომლებიც ეხება ადამიანის ურთიერთობას ბუნებასთან და გარემოს ეკოლოგიურ კრიზისს. ცხოველთა უფლებები, ბიოცენტრიზმი, ეკოლოგია, ეკოფემინიზმი, ბიორეგიონალიზმი, სოციალური ეკოლოგია და უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება. ყურადღება გამახვილდება ეთიკური სამეტყველო ენის აგებაზე, რათა სტუდენტმა შეძლოს ადამიანისა და სხვა-ადამიანის გარეთ მდგარი სამყაროს ინტერპრეტირება.კურსი საშუალებას მისცემს მაგისტრანტს, გაერკვეს თანამედროვე ეთიკის დილემებსა და კოლიზიებში, შეიძინოს მისი გააზრებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

აღმოსავლური ეთიკური თეორიები/Ethical Theories of East

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია აღმოსავლური ეთიკური აზრის, როგორც დასაბუთებული ფილოსოფიური დისკურსის, მისი ძირითადი მიმართულებებისა და მათი საერთო მახასიათებლების შესწავლა. კურსის ფორმატში ნაგულისხმევი დისკუსიები მაგისტრს მისცემს დასაბუთებულ ცოდნას, რომ თანამედროვე საკაცობრიო კულტურა წარმოუდგენელია აღმოსავლურ მორალურ-მეტაფიზიკურ სწავლებათა ცოდნის გარეშე. კურსი იმგვარადაა აგებული, რომ მაგისტრანტს საშუალებას მისცეს, გაერკვეს აღმოსავლური კულტურის პროცესების არსებით ტენდენციებში, შეიძინოს მისი გააზრებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები. იგი აითვისებს იმ ხერხებს, რომლებიც შემდგომში მას დაეხმარება დამოუკიდებლად იკვლიოს მისთვის საინტერესო საკითხები.

განათლების ფილოსოფია და მასწავლებლის ეთიკური კოდექსი/Philosophy of Education and Teachers'Code of Ethics.

კურსი სტუდენტს გააცნობს განათლების ფილოსოფიის ძირითად პრინციპებსა და პედაგოგიური მოღვაწეობის სპეციფიკას, პედაგოგის ზნეობრივ პრინციპებს, ნორმებსა და ქცევის წესებს და პედაგოგის საქმიანობასთან დამოკიდებულების საკითხებს, პედაგოგიური საქმიანობის საგანსა და პედაგოგის პასუხისმგებლობის პრობლემას. სტუდენტს საშუალება ექნება, გაეცნოს სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს პედაგოგიური მოღვაწეობის ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე. გაშუქებული იქნება ამ სფეროში ეთიკურ ურთიერთობათა პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხები. თითოეული თემის თეორიულ განხილვას მოჰყვება დისკუსია და ანალიზი განხილული პრობლემის ირგვლივ.

საინფორმაციო ეთიკა/ Informational Ethics

მაგისტრანტი სამაგისტრო კურსის ფარგლებში შეისწავლის საინფორმაციო სივრცეში ადამიანის მოღვაწეობის ეთიკურ პრინციპებს, პრობლემებსა და დილემებს; ინფორმაციის მიღებასა და გაცემაზე ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და მოვალეობებს. ინფორმაციაზე ეთიკური კონტროლის ძირითადი ფორმები, მექანიზმები და მიმართულებები. კურსი საშუალებას მისცემს მაგისტრანტს, გაერკვეს თანამედროვე საინფორმაციო ეთიკის დილემებსა და კოლიზიებში, შეიძინოს მისი გააზრებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

ნეოპლატონზმი: მეტაფიზიკასა და ცხოვრების წესს შორის
Neoplatonism: Between Metaphysics and the Way of Life

კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია ანტიკური ნეოპლატონიზმის ძირითადი კომპონენტების შესწავლა მათ ურთიერთმიმართებაში: ონტოლოგიის, გნოსეოლოგიის და ანთროპოლოგიის კავშირი. შესწავლის ლაიტმოტივი: რამდენად არის დამოკიდებული ნეოპლატონიკოსთა შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ ვიცხოვროთ, მათ ონტოლოგიურ და გნოსეოლოგიურ პრინციპებზე; როგორ აკავშირებს ნეოპლატონური შემეცნების თეორია მათ ეთიკურ და ონტოლოგიურ შეხედულებებს ერთმანეთთან.

პოსტმოდერნის ეთიკა/Ethics of Postmodern

კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა: 1. პოსტმოდერნული ეთიკის ძირითად ნიშნებს როლსა და ადგილს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში. მორალური ყოფიერების განხორციელების პოსტმოდერნულ ტექნოლოგიას. 2. ზნეობის ფენომენის პოსტმოდერნული გააზრების თავისებურების ადგილსა და როლს თანამედროვე ფილოსოფიურ აზროვნებაში. 3. ხელს შეუწყობს, რომ სტუდენტმა შეიმუშაოს საკუთარი პოზიცია და შეიძენს საკუთარი

პოზიციის არტიკულაციის, არგუმენტირების უნარი აღნიშნულ ფენომენთან მიმართებაში და ლიტერატურასთან დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევებს.

პლატონისა და არისტოტელეს ეთიკური ფილოსოფია/ Ethical Theories of Plato and Aristotle

კურსის მაგისტრანტს აცნობს ანტიკური ეთიკის შინაარსობრივ მხარესა და მის ფილოსოფიურ-ისტორიულ ინტერპრეტაციებს. ცენტრალური თემებისა და ძირითადი სკოლების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ მაგისტრანტები გაეცნობიან პლატონისა და არისტოტელეს ეთიკურ თეორიათა არსს; ანტიკური ეპოქის ორი გენიოსის ეთიკური თეორიების გაცნობით ანტიკური პერიოდის ზნეობრივ კონცეპტთა ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას. ტექსტოლოგიური ანალიზის მეთოდი საშუალებას მოგვცემს ავხსნათ ის ონტოლოგიური და ჰერმენევტიკული შრეები, რომლებიც ამ პერიოდის ზნეობრივი აზროვნების პროცესის შინაგან ლოგიკას აგებენ. თითოეული თემის თეორიულ განხილვას მოჰყვება შესაბამისი ტექსტების /წყაროების/ გაცნობა დედანში, მათი ანალიზი, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი. ყოველ კვირას ლექციას მოჰყვება სასემინარო მუშაობა, რომელიც ითვალისწინებს ლექციაზე განხილული თეორიული მასალის პრაქტიკულ დამუშავებას.